#eu4business

EaP | Eastern Partnership

ევროკავშირი ხელს უწყობს საქართველოში ბიზნესის გაძლიერებას

ევროკავშირი, **EU4Business** ინიციატივის ფარგლებში, უზრუნველყოფს **დაფინანსებას, ტრენინგს** და **ექსპორტის მხარდაჭერას ქართული კომპანიებისთვის** ახალი ბაზრების ასათვისებლად

ვინ ისარგებლა ამ ინიციატივით?

თეიმურაზ მექვევრიშვილი
სსაკვები ზეთის მწარმოებელი

მიიღო **ევროკავშირის კრედიტი** ზეთის წარმოებისთვის ახალი პრესის შესაძენად და შეცვალა მემკვიდრეობით მიღებული ძველი პრესი. შედეგად შეძლო უკეთესი ხარისხის და მეტი რაოდენობით ზეთის წარმოება და პირველი თანამშრომლისდაქირავება

ომარ ბახტურიძე
სტომატოლოგი

მიიღო ევროკავშირის კრედიტი მისი სტომატოლოგიური კაბინეტისთვის უკეთეს ადგილას უფრო დიდი ფართის შესაძენად, რის შედეგადაცკლიენტების რიცხვმა იმატა. ომარი გეგმავს ორი სტომატოლოგიური სავარძლის დამატებას მის ახალ ქირურგიულ განყოფილებაში.

იოსებ წოწოლაშვილი
გადამუშავების მენეჯერი

ისარგებლა **ევროკავშირის კრედიტით** მისი სამშენებლო მასალების გადამუშავების ბიზნესისთვის ახალ ტექნიკის შესაძენად. ახალი ქვასამსხვრევი საშუალებას აძლევს მას, მოკლე დროში გადაამუშაოს დიდი მოცულობით სამშენებლო მასალები.

EU4BUSINESS ციფრებში (2009-2016)

ევროკავშირის მონაწილეობა **35** მილიონი ევრო (დაახლოებით **87.5** მილიონი ლარი)

→

კომპანიებისთვის გაიცა **711** მილიონი ევრო (დაახლოებით **1.78** მილიონი ლარი) სესხის სახით

↓

მოხდა **63,000** საწარმოს მხარდაჭერა (სესხით, ტრენინგით, კონსულტირებით)

→

შეიქმნა **2,450** ახალი სამუშაო ადგილი

ძირითადი მიმართულებები

EU4BUSINESS

ფინანსებზე უკეთესი ხელმისაწვდომობა

- ეროვნულ ვალუტაში გასაცემი სესხების მხარდაჭერა
- ექსპორტთან დაკავშირებული ინვესტიციების დაფინანსება
- აღჭურვილობის შეძენის ან მოდერნიზაციის დაფინანსება
- სესხები ბიზნესისთვის, რომელსაც ქალები ხელმძღვანელობენ
- მიკროკრედიტები მცირე ბიზნესის შექმნისა და განვითარებისათვის

ბიზნეს უნარების გაუმჯობესება

- ომპანიებზე მორგებული საკონსულტაციო მომსახურება და მათი მხარდაჭერა ადამიანური რესურსების მართვის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მენეჯმენტის მიმართულებით
- სასწავლო პროგრამები მეწარმეების ბიზნეს უნარების გასაუმჯობესებლად
- ტრენინგები და მენტორობა ქალი მეწარმეებისთვის

კეთესი წვდომა ახალ ბაზრებზე

- ბიზნეს კონსულტაციები და ტრენინგები ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიებისთვის
- ევროკავშირის მოთხოვნებთან ადაპტირებისა და ევროკავშირთან ვაჭრობის მიზნით კომპანიებისთვის დახმარების გაწევა
- სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მხარდაჭერა ევროკავშირის ბაზრების ათვისების მიზნით

EU4BUSINESS საქართველოში

ხელს უწყობს საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარებას

უზრუნველყოფს ფინანსებზე წვდომას, მხარდაჭერას ახალ ბაზრებზე ექსპორტირებისთვის, პრაქტიკული ინფორმაციის გაზიარებას ბიზნესის განვითარების ხელშესაწყობად

EU4Business-ის ადგილობრივი ნომერი ქართული საწარმოებისთვის:

+995 32 2 220118

ევროკავშირი ეხმარება კომპანიებს საქართველოში **EU4Business** ინიციატივის ფარგლებში და თანამშრომლობს შემდეგ ორგანიზაციებთან : ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), KfW, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), ვაჭრობის საერთაშორისო ცენტრი, EUROCHAMBRES, ევროპის ხელოსნობის და მცირე და საშუალო საწარმოების ასოციაცია (UEAPME), ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OECD) და მსოფლიო ბანკი.

EaP | Eastern Partnership

მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ჩვენს ვებგვერდს:
www.eu4business.eu/ge